კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმებების აღმოჩენის და დადასტურების სირთულეები - ქართული და ევროკავშირის პრაქტიკის შედარებითი ანალიზი

სალომე შარიფაშვილი

,,სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად"

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

ხელმძღვანელი: ზურაბ გველესიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე, შარიფაშვილი, ს. შარიფაშვილი, 27.01.2025”.

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში ბაზრების მრავალფეროვნების მიუხედავად ბაზრებზე მოქმედი სუბიექტები ძალაუფლების მოპოვებისკენ მიისწრაფვიან, რაც ბუნებრივია. კონკურენციის სამართალი სწორედ იმ ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს ემსახურება, რასაც სამართლიანი წესებით თამაში ჰქვია და რაც საბოლოო ჯამში მრავალი სიკეთის მომტანია. მიუხედავად ამისა, არსებობს მრავალი გამოწვევა და მათ შორისაა კარტელური გარიგებების არსებობა. წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართული და ევროკავშირის კანონმდებლობების, არსებული გამოწვევების შესწავლა და ანალიზი კარტერულ გარიგებებთან მიმართებით, მისი აღმოჩენისა და დადასტურების კუთხით.

წინამდებარე კვლევა ეყრდნობა დოქტრინალურ და შედარებითსამართლებრივ კვლევის მეთოდებს. დოქტრინალური კვლევის მეთოდის მეშვეობით ნაშრომში გადმოცემულია არსებული თეორიული მიდგომების არსი და მნიშვნელობა, ასევე შესწავლილია მათი თავისებურებები. რაც შეეხება შედარებითსამართლებრივ კვლევის მეთოდს, მისი მეშვეობით გამოიკვეთა არსებული მსგავსება- განსხვავებები ქართულ და ევროკავშირის კონკურენციის კანონმდებლობას შორის, მათ შორის საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლთან მიმართებითაც. საბოლოოდ, კვლევის შედეგად დადგინდა კარტელურ გარიგებებთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ კომპლექსურია და ის ადამიანთა ცხოვრებისა თუ საქმიანობის მრავალ სფერის ეხება, რაც საბოლოოდ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგების მატარებელი შეიძლება აღმოჩნდეს.

აღსანიშნავია, რომ კვლევამ ცხადყო, საქართველოს კანონმდებლობა ძირითადად დაახლოებულია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმებასთან. ამას ადასტურებს ევროკომისიის უახლესი ანგარიშიც. მიუხედავად ამისა, კარტელების აღმოჩენისა და დადასტურების მიმართულებით პრაქტიკული გამოწვევები ისევ

არსებობს, რაც საკითხს კიდევ უფრო აქტუალურს ხდის. კარტელების აღმოჩენა უკავშირდება ისეთ სირთულეებს, როგორებიცაა მტკიცებულებების მოპოვება, მოწმეების დაცვა, გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა, ბაზრების შესაბამისი ანალიზი და კვლევა და სხვ., რაც მრავალ რესურს საჭიროებს. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე საკითხის შესწავლა მრავალი მკვლევრის ინტერესის სფეროს წარმოადგენს.

საძიებო სიტყვები: კარტელური შეთანხმება, კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმება, გარიგება, კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონი, ევროკავშირის კონკურენციის სამართალი, ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები, დისკრიმინაცია, ბაზარი, მონოპოლია, ეკონომიკური აგენტი, შემწყნარებლობის პოლიტიკა, კონკურენციის ეროვნული სააგენტო